№ 241 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი — ნელიწადი მესამე

ფასი 10 მან. — კვირა, ოქტომბრის 24 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწ. თეატრი

24 ოქტომბერს
გოფმანის ზღაპრები.
25 ოქტომბერს 1920 წ.
სევილიელი დალაქი
26 ოქტ. **პარმენი.**
27 ოქტომბერს
აგესალომ და ეთერი
28 ოქტომბერს **მეფის სანოლი.**
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

942 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)
სეზონი 1920—1921 წლისა
დღეს, ოქტომბრის 24 საღამოს
წარმოდგენა მუშებისათვის „გუშინდელნი“.
შალვა დადიანისა.
ხუთშაბათს, ოქტომბრის 28-ს,
„ირინეს გედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“
ახალი დეკორაციები, კოსტიუმები და მიზან სცენები.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. **რეჟისორი მ. ჭორელი.**
მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის
936 და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის. 1—1

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო ამით აცხადებს
ყოფილ რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოების
ნადეჟინის სახელოგის თემის მოწყალეგის დათა საუურადღებოდ,
რომ ვინაიდან ნადეჟინის თემი გადავიდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხელში, ამიტომ ხსენებულ თემის დებს ამათ ეძლევათ წინადადება: ვისაც სურს ჩარიცხვა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოწყალე დათა თემში უნდა შემოიტანონ ამის შესახებ განცხადება წ. ჯ. კანცელარიაში (26 მაისს ქ. № 60) საქართველოში მყოფმა ა. წ. 1 ნოემბრამდე და საქართველოს გარეთ მყოფმა კი 1921 წ. 1 იანვრამდე.
3152 3—3

ქართ. კულტურის და შრომის კავშირი
ტფილისი, ნიკოლოზის ხიდი, № 21 (ვორონცოვის ბეგლთან).
კაუჩუკის და სპილენძის **ბეჭდები** და **შტემპელები**
საწერ **მანქანების რემონტი და შრიფტების გადაკეთება**
ქართულ და თათრულ ენებზე
აბრები (ვივესკები) და **ემალის დაფები**
ყოველგვარი **ტყამბის სამუშაო**
ეროვნული **დროშები**
ელექტრონის **განათების** და ზარების გაყვანა.
სახელმწიფო დაწესებულებათა თანამდებობის და პირთა საყურადღებოთ:
ა) ღერბიანი ბეჭდის დასამზადებლად აუცილებლად საჭიროა ოფიციალური წერილობითი მოთხოვნილების გამოგზავნა.
ბ) დამზადებულია ქართულ ენაზე ბუჰგალტერიის მთავარი დავთარი, ბუჰგალტერიის ჟურნალი, მიღებულ და გაგზავნილ ქაღალდების ჟურნალები, ანბანის წიგნები და სხ.
3290 2—2

რესპუბლიკის საკურორტო ბილეთა ინსპექცია
იწვევს მსურველთ შეჯიბრებაში,
რომ მოაწოდონ ქალ. ტფილისის საკურორტ ბილეთებს სხვა და სხვა გვარი სურსათ-სანოვაგე, როგორც არის: ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ზეთი სამარხვო, კარტოფილი, ხახვი და სხვ. აგრეთვე საცვლების მასალა: ნარმა, ბამბაზია და სხვა გვარი თბილი მასალა, და ტყავეულობა ტუსაღთა ფეხსაცმელებისათვის.
შეჯიბრება დანიშნულია ორშაბათს 25 ოქტომბერს
დღის 12 საათზე ინსპექციის შენობაში (სასამართლოს ქუჩა № 32). იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება
258 ან და უნდა გამოცხადდენ პირადათ. 2—2

ქართული სავაჭრო ბანკის გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს,
რომ თანახმათ აქციონერთა საზოგადო კრების 1920 წ. 18 აპრილის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა ბანკი ადიდებს თავის ძირითად თანხას
3.500.000 მანეთიდან 15.000.000 მანეთამდე 11.500 აქციათა მეორე გამოცემით
თითო აქცია ათას მანეთის (1.000 მან.) ნომინალურ ღირებულებისა,
შემდეგ პირობებით:
1) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1050 მანეთი, რომლიდანაც 1000 მანეთი ჩაირიცხება ძირითადი თანხაში, დანარჩენი 50 მან. აქციის დასამზადებლათ და მის საღერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.
2) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა შეძენაში ეკუთვნის ძველი აქციათა მეპატრონეთ. ძველ გამოცემათა თვითეულ 7 აქციაზე დაეთმობათ 23 ახალი აქცია ხოლო ვადების შემდეგ გაუნაწილდება აქციები გარეშეთა შორის.
3) აქციაზე ხელის მოწერა დაიწყება 1920 წელს 10 ოქტომბრიდან და გაგრძელდება ამავე წლის 10 ნოემბრამდე და ამ დროში შემოტანილ უნდა იქნას აქციის გამოცემის ღირებულების პირველი ნახევარი 550 მან. მეორე ნახევარი 500 მანეთი კი 1921 წელს აპრილის 10-დან მაისის 10-დე.
4) აქციონერებს, რომელნიც მოისურვებენ აქციების სრული ღირებულების გადახდას პირველ ვადაში ე. ი ნოემბრის 10-დე დაუბრუნდებათ ვადამდე შემოტანისთვის პროცენტი წლიური 6%-დან.
5) ახალი მეორე გამოცემის აქციები იღებენ მონაწილეობას მოგებაში (დივიდენდში) 1921 წ. 1 ლ იანვრიდან.
6) აქციაზე ხელის მოწერა მიიღება ბანკის გამგეობაში ფოთში.
7) ის პირნი, რომელნიც ხელს არ მოაწერენ ახალ აქციაზე 10 ნოემბრამდე კარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.
8) ფულის შემოტანის დროს აქციონერებს მიეცემათ დროებითი მოწმობები რომლებიც შემდეგში შეიცვლებიან ნამდვილ აქციებით, როგორც კი ასეთები დამზადებული იქნება.
944 3—3

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის 3.000.000 მან. გადადებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის სამი მილიონი (3.000.000) მან. სხვა და სხვა მოულოდნელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ოქტომბრის 15-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. რამიშვილი.**

კანონი

სასოფლო სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების ორგანიზაციისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული სასოფლო სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების დებულება, შტატი და სასწავლო გეგმები.

2. საშუალო და დაბალი სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის საზოგადო მეთვალყურეობა მიენდოს მაწათ.-მოქმედების მინისტრს.

3. სასოფლო სამეურნეო საშუალო სკოლები და სამეურნეო პრაქტიკული სკოლები, რომელნიც დაარსებულ იქნებიან სამეურნეო დაწესებულებებსა და სახელმწიფო მამულებში მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებაში დარჩებიან. ხოლო სასოფლო სამეურნეო სკოლები ადგილობრივ საზოგადოებათა ინიციატივით დაარსებულნი, რომელნიც ამავე საზოგადოებათა ხარჯით ან მთავრობის დახმარებით ინახება დამაარსებელთა ხელში იმყოფებიან.

4. მიწათ-მოქმედების მინისტრს მიეცეს უფლება:

ა) განათლების მინისტრთან შეთანხმებით გამოსცეს სასოფლო-სამეურნეო სკოლებისათვის საზოგადო წესდება, სადაც უნდა იყოს აღნიშნული სკოლების მართვა-გამგეობის წესრიგი და სასწავლო გეგმა.

ბ) წარუდგინოს მთავრობას ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე მოხსენება და ახალი დებულება სახაზინო ხარჯით შესანახ სამეურნეო სკოლის გადაკეთებისა და დაარსებისთვის.

გ) მოითხოვოს სარჯთ-აღრიცხვის წესით საჭირო თანხა სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოსაწყობად და შესანახად.

დ) დაადგინოს განათლების მინისტრთან შეთანხმებით ადგილობრივი ხარჯით შესანახ სასოფლო სამეურნეო სკოლების გახსნის წესრიგი.

ე) გადასცეს სასოფლო-სამეურნეო სკოლას მოწაფეების სამეცადინოთა და სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად საჭირო მიწა და ტყე და აგრეთვე მისცეს უსასყიდლო სახელმწიფო ტყის მასალა შენობების ასაგებად და შესაკეთებლად.

შენიშვნა: ამ მუხლის ძალით ტყის მასალა უნდა მიეცეს როგორც სახაზინო, ისე ადგი-

ლობრივ საზოგადოებათა მიერ დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლებს.

1920 წლის აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ამხანაგი ს. მდივანი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე ნ. რამიშვილი.

საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო განათლების დებულება.

1. ზოგადი დებულება.

1. სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო აგრონომიული პერსონალის მოსამზადებლად არსდება ორივე სქესის პირთათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლები და დაწესებულებანი. სასოფლო-სამეურნეო სკოლები შეიძლება დაარსდეს სავაჟო, საქალო, ან ორთავეთათვის საერთო. სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლები განიყოფებიან ზოგად სკოლებად, სადაც შეისწავლება სასოფლო მეურნეობა საზოგადოდ და სპეციალ სკოლებად, სადაც შეისწავლება სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი.

2. სასოფლო სამეურნეო სკოლები განიყოფება: საშუალო, დაბალ და ორწლიან სასოფლო სამეურნეო კურსებად, რომელიც უნდა დაარსდეს აქ მოყვანილი დებულების მიხედვით.

3. სასოფლო სამეურნეო საშუალო სკოლის მიზანია მოწაფისათვის სამეცნიერო ნიადაგზე დამყარებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მიწოდება სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგში და ამ გზით სოფლის მეურნეთა კადრის მომზადება.

4. დაბალი ტიპის სასოფლო სამეურნეო სკოლად ითვლება: დაბალი პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლა და ორწლიანი სამეურნეო კურსები, დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლას მიზნად აქვს უმცროსი ტეხნიკოსების მომზადება, რომელნიც საჭირონი არიან სოფლის მეურნეობაში პრაქტიკული მეცადინეობისათვის. ორწლიანი სამეურნეო კურსები ავრცელებენ მცხოვრებთა შორის სოფლის მეურნეობის წარმოებისათვ ს საჭირო ცოდნას. ამ მიზანს ეს სკოლები მიაღწევენ პრაქტიკული მეცადინეობის მოწყობით, როგორც სკოლის მეურნეობაში, აგრეთვე მოწაფეთა მშობლების მამულში: პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლები ამზადებენ სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგისათვ ს გამოცდილ ხელოვნებულ მუშებს.

5. სასოფლო-სამეურნეო ერთდროული კურსების, კითხვისა, ბაასისა, მეურნეობისა, მუზეუმებისა და სპეციალი სასოფლო ს მეურნეო სამკითხველოების დაარსება და მოწყობა შეუძლია მთავრობასა და საზოგადოებრივ დაწესებულებას საზოგადო წესრიგით, კერძო პირებს კი სკოლაში, ადგილობრივ სამაზრო ერთეულთა გამგეობის ნებართვით.

6. საშუალო დაბალი სკოლები, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი იმყოფებიან მიწადმოქმედების სამინისტროს უწყებაში. საშუალო და დაბალი სკოლები რომელთაც სახელმწიფო ხაზინა ინახავს ან აძლევს დახმარებას, არსდება მთავრობისათვის შესაფერი მოხსენების წარდგენის შემდეგ.

მიწათმოქმედების მ ნისტრი, განათლების მინისტრთან შეთანხმებით, შე მ უშავებს წესრიგს იმ სასოფლო-სამეურნეო სკოლათა დაარსებისა, რომელთა შესანახადაც იხარჯება ადგილობრივი თანხა.

7. ამ დებულების ძალით მიწათმოქმედების მინისტრი, განათლების მინისტრთან შეთანხმებით, შეადგენს ერთგვარ სასოფლო სამეურნეო სკოლების საზოგადო წესდებას, სადაც აღინიშნება სკოლების მოწყობისა, გაკვეთილებ ს განაწილებ სა და პრაქტიკული მეცადინეობის წესრიგი.

8. ხაზ ნის მონაწილეობა საშუ ლო და დაბალი სკოლების მოწყობა შენახვაში, განისაზღვრება ხ რჯთაღრიცხვით. მიწათმოქმედების მინისტრს შეუძ ლია გადადებული თანხის ფარგალში დაუნიშნოს დახმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირთა მიერ დაარსებულ სასოფლო სამეურნეო დაბალ სკოლას. გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო დაბალ სკოლებს და კურსებს, რომელნიც არსდებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, შეიძლება მიეცეს დამატებითი დახმარება მათ მოსაწყობად საჭირო სამეურნეო ხარჯის დასაფარავად.

9. ყოველ სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლაში სასწავლო საკითხების განსახილველად უნდა არსებობდეს პედაგოგიური საბჭო დირექტორის თავმჯდომარეობით, ხოლო საშეურნეო საქმეებისათვის—სამეურნეო კომიტეტი. დაბალ სკოლებში, სადაც გარდა გამგისა არის არა ნაკლები ორი მასწავლებლისა, სასწავლო სამეურნეო საქმეების განსახილველად უნდა არსებობდეს პედაგოგიური საბჭო გამგის თავმჯდომარეობით. საბჭოების და კომიტეტების წევრებად ჩაითვლება სკოლის ექიმიც. საბჭოისა და კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს კრებაზე ადგილობრივი მეურნეები ან მცოდნე პირი, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა და თათბირი სამოსწავლო სამეურნეო კითხვების განხილვის დროს. მოწვეულ პირთ გადამწყვეტი ხმა არ ეკუთვნის.

10. საშუალო და დაბალი სკოლების შტატი დამტკიცებულ უნდა იქნეს მიწად-მოქმედების მინისტრის მიერ ამასთანავე დართულ თანამდებობათა განაწილების მიხედვით:

11. სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის დირექტორს და დაბალი სკოლისა და კურსების გამგეს დაევალება არა უმეტეს ექვსი გაკვეთილისა კვირაში. სასოფლო-სამეურნეო საგნების მასწავლებლებს დაევალებათ კვირაში არა ნაკლები თორმეტი გაკვეთილისა. ორი საათის პრაქტიკული მეცადინეობა საბუნებისმეტყველო და სპეციალ საგანში შეიძლება ჩაითვალოს ერთ კვირეულ გაკვეთილად. სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის ინსპექტორს კვირაში უნდა ჰქონდეს არა უმეტესი თორმეტი გაკვეთილისა.

12. ყველა საშუალო და დაბალ სკოლაში, თუ ამას სწავლის გაუმჯობესების ინტერესი მოითხოვს, შეიძლება შტატის გარეშე მასწავლებლის დანიშვნა იმ პირობით, თუ მას საათანადო თანამდებობის მიღების უფლება ექნება. ამ თანამდებობაზე წინეთ ნამსახური დო, შტატში ჩარიცხვის დროს სამსახურად ჩაეთვალებათ, თუ კვირაში ჰქონიათ არა ნაკლები ექვსი გაკვეთილისა.

13. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის დირექტორსა და ინსპექტორს აგრეთვე დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლის გამგეს თუ ამ სკოლებს ხაზინა ინახავს, ნიშნავს მიწად-მოქმედების მინისტრი. მასწავლებელს და სხვა მოსამსახურე პირს, სკოლების უფროსისაგან წარდგენის თანახმად ამტკიცებს მიწად-მოქმედების მინისტრი.

თავ ს უფლად დაქირავებული მოსამსახურე დანიშნება თანამდებობაზე სკოლის გამგის მიერ. ადგილობრივი ხარჯით დაარსებულ სასოფლო სამეურნეო სკოლის გამგეს და მასწავლებელს დამაარსებელთაგან წარმოდგენის თ ნახმად ამტკიცებს მიწად-მოქმედების მინისტრი.

14. სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელი და აღმზრდელი სარგებლობს პენსიისა და ხუთ ლწლეული დამატების ისეთსავე უფლებით, როგორც განათლების სამინისტროს მოხელე. ხუთწლეული დამატებისა ან პენსი ათვის საჭ ირო თანხას სახელმწიფო ხაზინიდან მიიღებს ის სკოლა, რომელსაც ინ ხავს ან დახმარებას აძლევს ხაზინა; იმ სკოლას კი, რომ ლიც დახმარებას არ იღებს მხოლოდ მაშინ მიეცემა ხაზინიდან სათანადო თანხა, თუ ამ მიზნისათვის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულ იქნა განსაკუთრებული თანხა.

15. სასოფლო-სამეურნეო სკოლის პენსიონერები ვალდებული არიან კურსის დამთავრების შემდეგ იმსახურონ მიწად-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებაში მათი სპეციალობის შესაფერ თანამდებობაზე იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც სარგებლობენ ხაზინის დახმარებას. მიწათ მოქმედების მინისტრს უფლება აქვს გაანთავისუფლოს ამ მოვალეობისაგან ზოგიერთი პირი, თუ მისი სამსახური სამ ნისტროს არ ესაჭ როება.

16. ყოველ ვარი შემოწირულება სასოფლო-სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ, სკოლის საკუთარი თანხის სარგებელი და სკოლის საკუთარისა ან მისი განკარგულებისათვის მიჩენილი ადგილის მეურნეობის ყოველი შემოსავალი შეადგენს სკოლის სპეციალ თანხას.

1) კერძო ხარჯით ან ხაზინის მონაწილეობით დაარსებული სკოლის სპეციალ თანხად ითვლება, აგრეთვე მოწაფეებისაგან შემოსული სწ ვლის ფული, სახელმწიფო ხარჯით დაარსებულ სკოლაში აღნიშნული სწავლის ფული და სხვა შემოსავალი ითვლება ხაზინის შემოსავლად; ხოლო საჭირო ხარჯისათვის სკოლას თანხა დაენიშნება მიწად-მოქმედების სარჯთაღრიცხვით.

17. მოწ ფეებისათვ ს სასოფლო-სამეურნეო სკოლებთან არსდება პანსიონები ან საერთო საცხოვრებელი; ამ დადგენილების დარღვევა შე ძლ ბ, მხოლოდ მიწად-მოქმედების მინისტრის ნებართვით.

18. უკეთუ სასოფლო სამეურნეო სკოლა დაარსდება საზოგადოებრივი ორგანიზაციისა ან კერძო პირის მიერ, დამაარსებელის უფლება და მოვალეობა განისაზღვრება მიწად-მოქმედების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებით განმარტებული უნდა იყოს მოსამსახურეთა, მოწაფეებისა და დამაარსებელთა შორის ურთიერთობა და აგრეთვე დამოკიდებულება სასკოლო მამულთან. ამავე ,ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე სწავლის ფასი პანსიონერებისა და ნახევრად პანსიონერთად შენახვისათვის საჭირო ხარჯის რაოდენობა და სასწავლო მიზნისთვის მეურნეობის მოწყობის წინასწარი გეგმა. მე-16 მუხლში აღნიშნული შემოსავალი გადაეცემა მამულის მესაკუთრეს ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობით.

19. სასოფლო-სამეურნეო სკოლას უფლება აქვს: 1) იქონიოს სათანადო ბეჭედი და 2) შეიძინოს უძრავი ქონება და მიიღოს ყოველგვარი შემოწირულება.

2. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

20. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის სწავლის კურსი ოთხწლიანია და ამის მიხედვით სკოლა განიყოფება ოთხ კლასად. ამათში პირველი მოსამზადებელია, მე-2—3 დანიშნულია სასოფლო სამეურნეო საგნების შესასწავლად სპეციალობის მიხედვით, ხოლო მეოთხე პრაქტიკულია. მიწად მოქმედების მინისტრის ნებართვით შეიძლება ამ სკოლებში გაიხსნას დამატებითი განყოფილება ან კლასი მოწაფეების რომელიმე სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის საგანგებო მოსამზადებლად ან უმაღლესი საფეხურის სკოლაში მისაღებად.

21. სკოლის უფროსად ითვლება დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია სწავლა აღზრდისა და სამეურნეო ნაწილის წესიერად მიმდინარეობისათვის. მას ერთერთ მასწავლებელთაგან დაენიშნება თანაშემწედ ინსპექტორი.

22. დირექტორისა, მასწავლებლისა და სამეურნეო ნაწილის (ფერმის) გამგის თანამდებობის მიღება შეუძლიან უმაღლესი სკოლის კურს დამთავრებულს. მასწავლებელთა თანაშემწედ, აღმზრდელად და ლაბორანტად, დაინიშნებიან საშუალო სკოლების კურს დამთავრებულნი. უკეთუ ახალი ენებისა, მიწის ზომისა და ანგარიშისათვის უმაღლეს სწავლა დამთავრებული მასწავლებლები არ მოიპოვებიან, ამ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს საშუალო და სპეციალ სწავლა მიღებულნი, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც დაწესებული გამოცდით დაამტკიცეს, რომ შეუძლიანთ ამ საგნების მასწავლებლობა.

23. სკოლის პირველ კლასში მიიღება მალალ დაწყებითი სკოლების კურს დამთავრებულნი. დანარჩენ კლასებში მოწაფეთა მიღება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება, მიწად-მოქმედების მინისტრის ნებართვით, თუ მისაღებმა პირმა ცოდნა გამოიჩინა წინა კლასებში გავლილ თეორიული და პრაქტიკული კურსისა.

24. სკოლაში სწავლობენ შემდეგ საგნებს: მცენარეთა სისტემატიკას, მორფოლოგიას, ანატომიას და ფიზიოლოგიას, ზოოლოგიას ენტომოლოგიითურთ, ცხოველთა ფიზიოლოგიას, არა ორგანიულსა, ორგანიულსა და ანალიტიურ ქიმიას, ფიზიკას, მექანიკას, მეტეოროლოგიას, მინერალოგიას და გეოლოგიას, გეოდეზიას, ხაზვასა და ხატვას; საზოგადო მიწად-მოქმედებას, საზოგადო ზოოტეხნიკას, სასოფლო მეურნეობის ჰიდრავლიკას, სასოფლო მეურნეობის ეკონომიას და ანგარიშს, კანონმეტყველებასა და ერთერთ უცხო ენას; სხვა და სხვა განყოფილების სპეციალ საგნები ჩამოთვლილია აქვე თანდართულ სასწავლო გეგმაში.

25. მთელი კურსის განმავლობაში სწარმოებს პრაქტიკული მეცადინეობა მოწაფეების სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მუშაობისა და წარმოების შესაჩვევად.

26. სკოლაში სწავლა დამთავრებული მოწაფე მიიღებს აგრონომის წოდებას იმ სპეციალობაში, რომელიც მას გავლილი აქვს და შეიძლება დანიშნულ იქნეს: სასოფლო-სამეურნეო ფერმის საცდელისა და მინდვრის გამგედ, მასწავლებლის თანაშემწედ, საშუალო სკოლების ლაბორანტად და აღმზრდელათ, აგრეთვე დაბალი სკოლების მასწავლებლად, ინსპექტორად და სხვ.

27. იმ პირთ, რომელთაც სასწავლებელში არ უსწავლიათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიწად-მოქმედების მინისტრის ნებართვით, შეიძლება მიეცეს მთელ კურსში გამოცდის ნება. ვინც გამოცდის დროს გამოიჩენს, როგორც თეორიულის ისე პრაქტიკული კურსის ცოდნას, მას მიეცემა იმგვარივე მოწმობა, როგორიც სკოლაში კურს დამთავრებულს ეკუთვნის.

III ოთხწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

28. ამ ტიპის სკოლაში მთელ კურს, რომელიც განაწილებულია 4 კლასად, გაივლის ოთხი წლის განმავლობაში.

29. სკოლის გამგედ უნდა დაინიშნოს უმაღლეს სწავლა დამთავრებული.

30. მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ მიღებული უმაღლესი ან საშუალო სწავლა. ხაზვის მასწავლებელი დაინიშნება 22 მუხლში მოყვანილის საფუძვლით.

31. პირველ კლასში მიიღებიან არა უმცირესნი 14 წლისა, პირველ დაწყებით სახალხო სკოლაში სწავლა დამთავრებულნი, სათანადო მოწმობის წარმომდგენნი ან შესაფერისი გამოცდით.

32. დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში სწავლობენ შემდეგ საგნებს: ქართულ ენას, არითმეთიკას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას, ხაზვას, მიწის ზომას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, ქიმიას, ფიზიკას და მეტეოროლოგიას, მცენარეთა მოვლა-გაშენებას, მეპაღლეობას, მებოსტნეობას, მევენახეობას, მეღვინეობას, საქონლის მოშენებას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, სასოფლო მეურნეობის ეკონომიას, სასოფლო მეურნეობის ანგარიშს და კანონმეტყველობას.

33. მოწაფეთაგან სასოფლო-სამეურნეო ცოდნის უკეთ შეთვისებისათვის და მუშაობაში გამოცდილების მისაღებად, სკოლაში საკლასო მეცადინეობასთან ერთად სწარმოებს პრაქტიკული მეცადინეობაც.

34. სასოფლო მეურნეობაში და ბუნების მეტყველებაში პრაქტიკულ მეცადინეობას ხელმძღვანელობენ გამგე და მასწავლებელი. პრაქტიკული მეცადინეობის დროს მოწაფეები უნდა ასრულებდენ მიმდინარე სამუშაოს და ვარჯიშობდენ სასწავლო საჩვენებელსა და სხვა ამგვარ დაწესებულებაში.

35. სასოფლო-სამეურნეო დაბალი სკოლის კურს დამთავრებულს შეუძლიან იყოს საზოგადო განათლების პირველ დაწყებითი სახალხო სკოლაში სასოფლო-სამეურნეო მეცადინეობის ხელმძღვანელად ან სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგში უმცროს ტეხნიკებად და ინსტრუქტორებად.

4. ორწლიანი სასოფლო სამეურნეო კურსები.

36. სწავლა გრძელდება ორ წელიწადს და განაწილებულია ორ კურსად.

37. მასწავლებლად ნაინიშნება საშუალო აგრონომიულ სწავლა დამთავრებული. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ თანამდებობაზე შეიძლება დანიშნა იმ პირისა, რომელსაც არა აქვს ცენზი, მაგრამ აქვს შესაფერი ცოდნა. რომელიმე შტატის მასწავლებელს დაევალება კურსების გამგეობა, რისთვისაც განსაკუთრებული გასამრჯელო უნდა მიიღოს.

38. კურსებზე მიიღებიან ადგილობრივი მცხოვრებნი არა უმცირესნი 15 წლისა. წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნენი პირველდაწყებითი სკოლის კურს დამთავრებულის პირობაზე.

39. კურსებზე ასწავლიან: წერა-კითხვას და ანგარიშს, აწვდიან მოკლე ცნობებს ბუნების მოვლენებზე, გაუმართავენ კითხვასა და ბაასს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის საკითხზე, მიწის ზომვისა, რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა და სოფლის მეურნეობის თაობაზე.

40. მოწაფეების პრაქტიკული მეცადინეობა განისაზღვრება სკოლის მამულისა, საჩვენებელ მინდორსა და სხვა სამეურნეო დაწესებულებაში ექსკურსიებში მონაწილეობით და მუშაობით. ამ მეცადინეობისათვის და სასოფლო-სამეურნეო ბაასისათვის გადადებულია თითო კლასში არა ნაკლები ექვსი კვირეული გაკვეთილისა ზამთარში და არა ნაკლები თორმეტი კვირეული გაკვეთილისა ზაფხულში. დანარჩენ დროს მოწაფეები მუშაობენ თავიანთ მამულში და სარგებლობენ მასწავლებელთა დარიგებას. მასწავლებელი ვალდებულია ინახულოს ხოლმე თავის მოწაფის მამული ზამთარში არა ნაკლები ერთი გზისა და ზაფხულში-კი თვეში ორჯერ. გარდა ამისა სკოლაში მოწყობილი უნდა იყოს სახელოსნო მეცადინეობა.

5. პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

41. პრაქტიკული სკოლები უმთავრესად არსდება სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ხელში გადასულ მამულში.

42. კურსი გრძელდება ერთიდან სამ წლამდე. პრაქტიკული სკოლები შეიძლება დაიყოს განყოფილებათა და კლასებად, თუ ამას გარემოება მოითხოვს.

43. სკოლაში მისაღებად საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა. განსაკუთრებით შემთხვევაში შეიძლება წერა-კითხვის არა მცოდნეთა მიღებაც. მისაღები პირნი უნდა იყვნენ არა უმცროეს 16 წლისა.

44. პრაქტიკული სკოლების კურსს საფუძვლად დაედება პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც შეიცავს სასოფლო სამეურნეო და სახელოსნო მუშაობის წარმოებას. ამ მეცადინეობას ხელმძღვანელობენ მასწავლებელნი. გარდა ამისა თითო სკოლაში სწავლობენ საზოგადო განათლებისა და სპეციალ საგნებსაც.

45. გამგე და მასწავლებელი დაინიშნებიან იმ პირობით, როგორც სასოფლო მეურნეობის ორწლიანი კურსების გამგე და მასწავლებელი—(მუხ. 38).

6. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებელ სკოლის გარე.

46. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად უნდა მოეწყოს დროებითი სასოფლო-სამეურნეო კურსები, კითხვა და ბაასი, როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის.

47. კურსების სანიმუშო პროგრამას შეადგენს მიწათ-მოქმედების სამინისტრო.

48. კურსების კითხვისა და ბაასის გამგეებად დაინიშნებიან ის პირნი, რომელთაც ნება აქვთ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში გამგეობისა და მასწავლებლობისა.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
ფოროსი ამხანაგი **ს. მდივანი.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის.
მოადგილე **ნ. რამიშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება.

მთავრობაში.

მთავრობის დადგენილებანი.

შტატების შემოკლება.

მთავრობამ, მოისმინა რა ოქტ. 16 სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარის განცხადება სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების შემოკლების შესახებ დაადგინა: დაარსდეს კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობითა და შრომისა და იუსტიციის მინისტრების მონაწილეობით. კომისიას ევალება შტატის შემოკლების განხორციელება, ხსენებულ კომისიის გადაწყვეტილებანი დაუყონებლივ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული. შტატების შემოკლებისათვის საჭირო ზომების მიღების შემდეგ, ყველა ეს ზომები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

დეპოზიტების და თავისუფალ თანხების შეკანა.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო დაწესებულებებს თავისი დეპოზიტები და თავისუფალი თანხები სახელმწიფო ბანკში იქონიონ. ეს დადგენილება არ ეხება სახელმწიფო დაწესებულებათა იმ შემოსავალს, რომელიც უეჭველად ხაზინაში უნდა იქნეს შეტანილი.

შინაგ. საქმ. სამინისტროში.

ცირკულიარული.

ბრძოლა დეზერტირობასთან.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის სამაზრო მილიციის უფროსებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ არის მიღებული მთელი რიგი ზომებისა გავრცელებულ დეზერტირობასთან საბრძოლველად, რომელთა ცხოვრებაში გასატარებლად შტაბი საჭიროებს შესაფერ დახმარებას ადგილობრივ ადმინისტრაციის მხრივ. გატყობინებთ რა ამას წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ და ჯეროვანი ენერგიით შეასრულოთ ყოველი უშუალო მომართვა თქვენდამი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა.

ბერძნების ევაკუაცია.

მთავრობამ ნება დართო სომხეთში მცხოვრებ ბერძნებს საქართველოს ტერიტორიით საბერძნეთში წასვლისა. ელლინთა მისია ზრუნავს, რაც შეიძლება დაჩქარებით, გაამგზავროს ბერძნები სამშობლოში. სომხეთში მცხოვრებ ბერძნების ევაკუაციის შემდეგ განსაზღვრული იყო არდაგანის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ ბერძენთა ევაკუაცია, მაგრამ იგი ელლინთა მისიის ფხოვნით შეაჩერეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ სათანადო უწყების მიმართ უკვე გამოსცა სათანადო განკარგულება.

იუსტიციის სამინისტროში

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნა დაიფუძნებელი კრების წევრების ციხკარიშვილისა და შარაშიძის მოხსენება თიონეთის მაზრაში არსებულ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სთხოვს იუსტიციის სამინისტროს გასცეს სათანადო განკარგულება იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც მოხსენებაში არის აღნიშნული და კერძოთ კი სასამართლოს საკითხის მოსაწესრიგებლად. პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის გამოირკვიონ საკითხი ბეკოშვილის მკვლელობის შესახებ. ბეკოშვილს აბრალებდნენ ყაჩაღობას, იგი დააპატიმრა ადმინისტრაციამ და მეორე დილას კი კამერაში ყელგამოჭრილი იპოვეს. იუსტიციის სამინისტრომ ამ მოხსენების მიღების შემდეგ მკვლელობის გამოძიების სასწრაფოდ მოხდენა უდიდეს საქმეთა გამომძიებელს დილევსკის მიანდო. დილევსკისვე მიენდო თიონეთის მაზრაში არსებულ სასამართლოების მდგომარეობის გამოკვლევა.

შრომის სამინისტროში

პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ.

შრომის სამინისტრომ დასკვნისათვის დაინტერესებულ უწყებებს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარუდგინა პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ. პროექტი 12 მუხლისაგან შესდგება: 1) მუშებისა და მოსამსახურეების სათანადო კადრის სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად და აგრეთვე ყველა მშრომელ ელემენტის სასარგებლო მუშაობაში ჩასათრევად არსდება საყოველთაო შრომის ბეგარა; 2) შრომის ბეგარა ეხება ყველა მამაკაცს, ვინც კი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სცხოვრობს 18—60 წლამდე და დედაკაცს 18—50 წლამდე; 3) შრომის ბეგარის მოსახდელად პირველად ყოვლისა გაწვეულ იქნებიან ქალაქთა მცხოვრებნი, რომლებსაც არა აქვთ სამუშაოვარი და აგრეთვე ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც არ აქვთ სამუშაო თავის სპეციალობის და მიხედვით; 4) შრომის ბეგარისაგან თავისუფლდებიან ავადმყოფნი და აგრეთვე ქალები ფეხმძიმობის და პატარა ბავშვების ძუძუსწოვის დროს; 5) შრომის ბეგარა შეიძლება იქნეს შემოღებული მთავრობის ბრძანებით და აგრეთვე ქალაქთა და ერობათა დადგენილებით. თვითმართველობების დადგენილებანი დასკვნისათვის გადაეცემა უმაღლეს საბჭოს, რომელიც შემდეგ მთავრობამ უნდა დაამტკიცოს; 6) შრომის ბეგარის მოსახდელად გასაწვევ პირთა რაოდენობას საზღვრავს მთავრობა, იმის და მიხედვით, თუ როგორი არის სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებანი; 8) საქმეებს, რომლებიც შრომის ბეგარას შეეხება უმაღლესი ეკონომიური საბჭო განაგებს. საბჭოები მოქმედებენ ადგილობრივად ქალაქთა და ერობათა თვითმართველობის ორგანოებთან ერთად. კომისიაში შედიან: ორი წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმმართველობიდან და თითო-თითო წარმომადგენელი პროფესიონალურ კავშირიდან, სახალხო გვარდიიდან და შრომის სამინისტროდან; 9) ეკონომიურ საბჭოს ეძლევა უფლება ინსტრუქციის გამოცემისა ინსტრუქციებს და წესებს საბჭო შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით სცემს და სხვა.

ყველა მუშათა მაგიდებს, შრომის კომისრებს და რწმენებულთ.

თანახმად შრომის სამინისტროს და სატარიფო პალატის დადგენილებისა, ყველა საზოგადო და კერძო დამქირავებელს, რომელთა მუშა-მოსამსახურენი იღებდენ მუშათა მაგიდიდან იაფ პურს, უნდა შეეტანათ მუშათა მომარაგების ფონდში: აწ. მაისში ათას-ათასი მანეთი თვითეულ მუშაზე და მოსამსახურეზე, ივლისში კიდევ ათას-ათასი მანეთი და უკანასკნელი (II ოქტომბრის) დადგენილებ ს ძალით უნდა შეიტანონ არა უგვიანეს მომავალ ნოემბრის 1 რიცხვისა სამი ათასი მანეთი თვითეულ მუშა-მოსამსახურეზე.

ვინაიდან ზოგიერთ დამქირავებელთ ზემოაღნიშნული გადასახადი დღემდის არ გადაუხდიათ, გვევალებათ გამოუცხადოთ მათ, რომ 1 ნოემბრამდის უეჭველად შემოიტანოთ მუშათა მაგიდის კასაში, როგორც აღნაშნული სამი ათასი მანეთი, აგრეთვე წინანდელი ათას-ათასი მანეთები, თუ ეს თავის დროზე არ იყო მოტანილი.

თუ დამქირავებელნი 1 ნოემბრამდე არ შემოიტანენ აღნიშნულ გადასახადს, სამინისტრო იძულებული იქნება მოუსპოს მათ მუშა მოსამსახურეთ იაფ სურსათ-სანოვაგის მიწოდება მუშათა მაგიდიდან.

შრომის მინისტრის ამხანაგი
ალ. ბახტაძე.

ფეოდორე უგნის სამხედრო გამოძიებლისაგან.

უკანასკნელ ხანებში, ტფილისის პრესა დიდ ყურადღებას აპყრობს სამხედრო ჰოსპიტლიდან მილიონად ღირებულ ქონების გატაცებას და განსაკუთრებით იმას, რომ ეს გამტაცებლები არ ისჯებიან. ვინაიდან ამ წერილების ავტორი არ იცნობს საქმის ვითარებას და თავისი წერილებით საზოგადოება შეცდომაში შეყავს, ამიტომ დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ ვაცხადებთ შემდეგს: სამხედრო საპროკურორო ზედამხედველობამ ა. წ. ივლისის 10 მიმანდო მე გამოძიება სამხედრო ჰოსპიტალის საქმეთა. საქმეს იმ დღიდანვე შევუდექი და ამ ჟამად ჰოსპიტალის სამეურნეო ნაწილში ექსპერტიზა მუშაობს. ამ საქმეზე სამსახურიდან დათხოვნილია სამეურნეო ნაწილის უფროსი ამბოკაძე და მისი ყოფილი თანაშემწე ჯაფარიძე, მურმანიშვილი, ლაშხი და ჭამაროვი დაატუსაღეს და სამხედრო საპატიმროში მოათავსეს. მათ უკვე წარედგინათ ბრალდება. გამოძიება სამხედრო პროკურორის ბ. მირიანაშვილის ხელმძღვანელობით სწარმოებს. ყოველი პირი რომელსაც ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია სასამართლოში თავის დროზე იქნება მიცემული. გთხოვთ ჩემი ეს განცხადება საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად გამოაქვეყნოთ ყველა გაზეთებში. ვისაც აქვს სამხედრო ჰოსპიტალში ბოროტ-მოქმედების შესახებ რაიმე ცნობა, ვთხოვ გვაუწყოს პირადათ მე ჩემს კამერაში, სასამართლოს ქ. № 32. 11—3 საათამდე მეორე უბნის სამხედრო გამომძიებელი დ. თარხნიშვილი.

უცხოეთი

(საინფ. ბიურ. ცნობა.)

პალესტინაში.

პალესტინის უმაღლესმა კომისარმა სამუელმა ქვეყნის მართვა გამგეობისათვის 10 წევრისაგან საგანგებო კომიტეტი შეადგინა. კომიტეტში შედის 7 მართლმადიდებელი და მუსულმანი და 3 ებრაელი.

პრავდის სტატისტიკური ცნობები.

„პრავდა“-ს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები მოსკოვის მცხოვრებთა შესახებ. სულ მოსკოვში წითელ არმიელებთან ერთად 1,093,000 სული ცხოვრობს—მაშინ როდესაც 1918 წელს სცხოვრობდა 1,700,000. მცხოვრებთა რიცხვმა აქ 36%-ით იკლო, პეტროგრადში კი 65%.

უუმბარის გადაჯდება.

ადგილობრივი პრესა კიევის საგანგებო კომისიაში უუმბარის აფეთქების შესახებ იუწყება: გამოძიებამ გამოარკვია, რომ უუმბარა ელექტრონის ლამფის უკან იყო დადებული იმ განზრახვით, რომ იგი ლამფის ანთების დროს აფეთქებულიყო. უუმბარა ცნობილ კომუნისტების თათბირის დროს აფეთქდა, სულ დაიჭრა და მოკვდა 46 კაცი. პანიკით ისარგებლა 100 პატიმარნა; ისინი გაიქცენ.

ეოფრი და უკრაინის მისია.

„კომუნისტი“ იუწყება: ბუქარესტში ეოფრსა და უკრაინის მისიის წარმომადგენლებს შორის სერიოზული მოლაპარაკება არისო.

ხარკოვის გუბერნიაში.

„ავინტული“ ხარკოვის გუბერნიაში მომხდარ აჯანყების შესახებ იუწყება: რკინის გზის ხაზი ემერინკასა და ოდესის შორის გადაჭრილიაო.

გერმანიაში.

„ეურნალი დე ორიენტი“ იუწყება: გერმანიიდან იწერებიან, რომ იქ დანაშაულობათა შემოხვევა გაიზარდა. დიდი ხმაურობა გამოიწვია პრესის, ლანტაგის სოციალ-პარტიის წევრის ტერეზა ეშოცის მკვლელობამ. მკვლელობა ლიკში მოხდა. საერთოდ დღე არ გაივლის ისე, რომ ბერლინის ქუჩებში მძარცველობა, ან მკვლელობა არ მოხდეს.

საჰაერო მიმოსვლა.

შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა მოტტამ და გერმანიის ელჩმა მიუღლერმა მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

ბოლშევიკების წინააღმდეგ.

გელსინკფორსიდან იუწყებიან, რომ ვოლგის პირის გუბერნიებში ძალიან იზრდება ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოძრაობა. „ტანს“ მიუღია ცნობები კერძო აჯანყებათა შემოხვევების შესახებ ცარიცინსა, ყაზანსა, რიბინსკისა და სარატოვში. ეს აჯანყებანი დაცხრომილ იქნა. „ტანის“ ცნობით საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს წითელი არმიის რეორგანიზაცია. ჯარების სათავეში ისევ ტროცკი დარჩება. მის თანაშემწეთ იქნება პოდვოისკი.

(გაზეთებიდან.)

ანტი იაპონური მოძრაობა ჩინეთში.

მოსკოვის „იზვესტიის“ ცნობით ჩინეთში კვლავ ანტი იაპონური მოძრაობა იწყება. ამ მოძრაობას სტიქიური ხასიათი აქვს. ზოგიერთ ადგილას უკვე ტერორისტულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი.

დაღესტანში

დარუბანდის სარევოლიუციო კომიტეტმა დაადგინა გააუქმოს დარუბანდში შარიატის სასამართლო და დაარსოს სახალხო სასამართლო რომელშიც შევა ერთი ისეთი პირი ვინც იცის შარიატის მმართველობის ნორმები.

14 ჩრეზვიჩაიკა.

ქალაქ ოდესაში ამ ჟამად 14 ჩრეზვიჩაიკა მუშაობს. ესენი გადმოსულნი არიან უმთავრესად უკრაინიდან. ყოველი მათგანი საქმეს ცალ ცალკე აწარმოებს. გააძლიერეს ტერორი. ოდესაში ყოველგვარი საციცოცხლო ენერგია შეჩერებულია. ქალაქს აღარ აქვს წინანდებური ელფერი. საღამოს ექვს საათს შემდეგ ქუჩები ცარიელდება. ყველაფერი წყვდიადს მოუცავს.

კრემლის ალება.

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობის თანახმად მოსკოვში ამბოხებულან დიდძალი მცხოვრებნი. ბევრი პროვინციიდან ყოფილან ჩამოსულები. ამბოხებულებს აუღიათ კრემლი.

ჩიჩერინის მიმართვა საფრანგეთს.

გარეშე საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა საფრანგეთს განცხადებით მიმართა: სადაც იგი პროტესტს უცხადებს საფრანგეთის ხალხს, რომელნიც დახმარებას უწევენ და გულწრფელად ხვდებიან გენერალ ვრანგელის ოპერაციებს.

საქართველოს პროტესტი.

გენერალ ვრანგელის შეიარაღებულ ძალთა ამა წლის ოქტ. 17 იგუმენოვის რაიონში, საქართველოს ტერიტორიაზე თავდასხმის გამო, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმ. კ. ბ. საბახტარიშვილმა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიასა და საბერძნეთის მთავრობებს საპროტესტო ნოტით მიმართა. ნოტის ასლი გაეგზავნა ტფილისში არსებულ უცხოელთა მისიებს.

შეიმანი მთავრობის თავმჯდომარესთან.

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ყორდანიამ მიიღო თავის ბინაზე რუსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წამომადგენელი ბ-ნი შეიმანი. შეიმანმა მთავრობის თავმჯდომარეს თავისი რწმუნებულების ბარათი გადასცა.

ახალი ამბები

სტატისტიკურ კომიტეტში. ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ უწყებათა თათბირს 1920 წ. საშემოდგომო ანკეტის 1920 წ. ქალაქის აღწერისა და 1921 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის მომზადების შესახებ მოსალაპარაკებლად.

ხალხმწიფო ბანკში. სახელმწიფო ბანკის გამგეობამ წარუდგინა საბჭოს განსახილველად საკითხი საგანგებო საწარმოვო კაპიტალის შექმნის შესახებ. ამ კაპიტალის დანიშნულება იქნება: გრძელვადიან სესხის მიცემით მრეწველობის ხელის შეწყობა და განვითარება.

ფეხსაცმელების მიღება. ქალაქის საბჭოს სასურსათო საბჭომ მიიღო გასასყიდათ მამაკაცების და ბავშვების ფეხსაცმელები.

— საბჭოს სასურსათო კომისიამ არსებულ ნიხრში შემდეგი ცვლილება შეიტანა: ხორცი გირვანქა—40 მან., ბითუმით ფუთი—1.570 მან., კამეჩის ხორცი გირვანქა—35 მან., ბითუმად ფუთი—1.370 მან., ხახვი გირვანქა—20 მან., ქართოფილი გირვანქა—20 მან., კვერცხი—15 მან., ჭიქა რძე—25 მან. ხის ნახშირი ბითუმათ—360 მან.

წ.-კ. ხაზ. კრება. კვირას, 31 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია წ.-კ. გ. საზ. ტფილისის

განყოფილების წევრთა საზოგადო კრება: ასარჩევი ფილიალის გამგეობა და რწმუნებულები.

მასწავლებელთა კონფერენცია. დღეს, კვირას, 24 ოქტომბერს, დღის 1 საათზე (ახალი დრ.) 1 ლ ქალთა გიმნაზიაში დანიშნულია მასწავლებელთა კავშ. კონფერენცია. საგანი: მოხსენება მასწ. ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

ქალაქის სხდომა. ორშაბათისათვის დანიშნულ ქალაქის საბჭოს სხდომის წესრიგში შემდეგი საკითხებია დასმული: 1) კამათი ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილების გამგის კ. ა. ტატიშვილის მოხსენების გამო. 2) საკითხი ქალაქის აბანოების სარგებლობისათვის ტარიფის გადიდების სარგებლობისათვის ტარიფის გადიდების შესახებ. და 3) ქალაქის თვითმმართველობის მტკვნის არჩევა.

ჯანმრთელობის დეპ. დირექტორის განცხადება: ჯანმრთელობის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის აცრა სწარმოებს უსასყიდლოთ მსურველთათვის ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში, სალდათის ბაზარში, პუშკინის ქუჩაზე 10-1 საათამდე ყოველდღე და მხოლოდ იქ მიღებული აცრის მოწმობას ექნება კანონიერი ძალა.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მიმართა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის გამგეობებს შემდეგი განცხადებით: ა/წ. ღვინობისთვის 17-ს ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი ქალაქებისა და ერობათა მომავალ არჩევნებზე ხარჯების განაწილების შესახებ. ამ თათბირზე გამოირკვა, რომ თვით ქალაქები და ერობები ამ ხარჯების იმ ნაწილსაც ვერ გაიღებენ, რომელიც მათ ეკისრებათ არსებული კანონით. გამოირკვა აგრეთვე, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებისათვის საჭირო იქნება ამრჩეველთა მუდმივი სიების შედგენა. მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში, თათბირმა სასურველად დაინახა მუდმივი სიების შედგენა მოხდეს ეხლავე, თვითმმართველობათა არჩევნების წინ, რომ ამ სიებით შეიძლებოდეს სარგებლობა ორივე არჩევნებისათვის, ეს საშუალებას მოგვცემს ამ ხარჯით, რომელიც საჭირო იქნება საპარლამენტო სიების შესადგენათ, მოვაგვაროთ თვითმმართველობათა საქმეც. თვით მინისტრიც შესაძლებლათ სთვლის ასე საქმის მოწყობას და დაგვავალა ორივე ცენტრს (ქალაქთა და ერობათა) დაჩქარებით წარუდგინოთ ცნობები, თუ რა თანხას მოითხოვს სახელმწიფო ხაზინიდან ხსენებული სიების შედგენა და თვითმმართველობათა არჩევნების მოწყობა. ამა მოსაზრებათა გამო გთხოვთ დაუყონებლივ და არა უგვიანეს ერთი კვირისა მოგვაწოდოთ საჭირო ცნობები თქვენი ქალაქის შესახებ. კარგი იქნება თუ დაურთავთ იქვე ცნობებს, წარსული არჩევნების მიხედვით, მცხოვრებთა და ამრჩეველთა რიცხვისა და ტერიტორიის სივრცის შესახებ. ცნობა უნდა მოგვაწოდოთ კავშირის სახელზე და აქედან იქნება წარდგენილი სამინისტროში.

პროფესიონალურ კავშირში

პროფ. კავშირთა სეკრეტარიატში.

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა ოქტ. 21 სხდომაზე განიხილა რა პროექტი შრომის ბეგრის შესახებ, მიუღებლად სცნო ამ კანონ-პროექტის ძირითადი პრინციპი. სეკრეტარიატი კანონ-პროექტის გადამუშავების მომხრეა.

წისქვილების მოსამსახურენი.

საბჭოს სეკრეტარიატმა თავის ინსტრუქტორებს მიანდო გამოარკვიონ, თუ რომელ კავშირში უნდა შევიდენ წევრად ტფილისის წისქვილებში მომუშავენი და მოსამსახურენი.

შრომის ბირჟა.

საბჭოს სეკრეტარიატმა სთხოვა შრომის სამინისტროს დააჩქაროს საგანგებო თათბირის მოწვევა შრომის ბირჟის მოწყობისა და მისი მოქმედების ფარგლების გამოსარკვევად.

ნ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა პასპორტი № 1852 პელაგია გიორგი ნაცვალოვის ასული შმიკინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3253 3—3

დაიკარგა სამხედრო ნუსხა არტემ წეროის ხახელზე, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3276 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და გვარდიის წიგნაკი ალექსანდრე ივანეს ძე გიგუაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3218 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მნაცაკან არუთინის ძე ყაზარიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვლება. 3207 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი, მიღებული ცხინვალის კომისრისაგან, მეტრიკული, მოწმობა და საბარგო კვიტანცია შაულ დავითის დედიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 8254 3—2

დაკარგულია მორიგ გაწვევის უწყება № 50 მიცემული მე 10 კომისარიატიდან 30 მარტს 1920 წ, ვლადიმერ ანდრიას ძის პოლიაკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3269 3—2

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ივანე სიმონის ძე კაკუტაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარიამ სტეფანეს ასული კაკუტაშვილისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1903 წ. უკვალოდ დაიკარგა 1908 წ. ყველა ვინც იცის მარიამ სტეფანეს ასული კაკუტაშვილის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3307 3—2

დაიკარგა მოწმობა, მოცემული სახელ. უნივერს. გამგეობის მიერ ივანე ანდ. ხოჭოლავას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 3303 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ნორარ ხაჩატურის ძე ხაჩატურიანცის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3305 3—2

დაიკარგა მოწმობა ანდრია ნიკოლოზის ძე შახოვსკის და მისი ცოლის სახელზე, მიღებული წყალთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3306 3—2

დაიკარგა პასპორტი № 39539 ანტონინა კუზმინას ასული და ვერა ევგენის ასული პისარევების სახელზე, ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3312 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 468 გეურქ არტემის ძე დემუროვის სახელზე, მიღებული სიღნაღის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3313 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 444 ბაგრატ მარკარის ძე არწრუნის სახელზე, მიღებული ალექსანდროპოლის სამაზრო პოლიციის სამმართველოდან 1899 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3295 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ყაზბეგის კომისრისაგან და ორი სალდათობის მოწმობა, მიღებული მეექვსე ათასეულიდან თელავში გიორგი ივანეს ძე ღუდუშაურის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3296 3—2

დაიკარგა საოჯახო უვადო პასპორტი № 2706. მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 7 ივნის 1911 წ. ფაშადი ისრაფილ მაშადუ აბას ოღლი გუსეინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3298 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ნოე წეროძეს სახელზე, მიღებული ქუთ. პირველ ათასეულის უმწყობრო გუნდიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3277 3—3

დაიკარგა პასპორტი № 160997 გიორგი გრიგორის ძე აბრამოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3259 3—3

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა № 111, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დავით ივანეს ძე დემეტრაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3268 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული თელავის სამხედრო აღრიცხვის უფროსისისაგან და ჯვრის წერის მოწმობა იოსებ სიმონის ძე ხარატაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3299 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 146 მიღებული რაჭის მაზრის წესის საზოგადოების კომისრისაგან, მეტრიკა მიღებული ს. წესში. სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისაგან ევგენია რომანოსის ძე კერესელიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3300 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის ბარათი № 25 და მოწაფეობის ბილეთი № 26 სერგო ასტვაცატურას ძე მამიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3301 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი დიდი მთავრის ქ. № 78 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ლენჩევკისას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3302 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ გიორგის ძე რობაქიძის სახელზე, სენაკის კომისრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3267 3—3

დაიკარგა ქუთაისის სახაზინო ქალთა გიმნაზიის 7 კლასის დასრულების ატესტატი 1913 წლ. დიპლომი ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის მე 8 კლასისა 1914 წ. და მეტრიკული ამონაწერი სიდონია ალექსის ასული კოსტოვას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3273 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი სტ. ივანე ზაქარიას ძე ხორსელის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3270 3—3

დაიკარგა მოწმობა ბახრამ აგაევის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3285 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ზორიადის შესახვევში (2 კომისარიატი) № 1 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ა. ნ. პრიპუდნევას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3287 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკა გიორგი სოფრომის ძე გოგობერაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3289 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ნიკოლოზ მიხეილის ძე ბოლლაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3274 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანა ივანეს ასული პროხანოვას სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1908 წ. რეესტრით № 441. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3284 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელენე დავითის ასულის ჟორდანიი სახელზე დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1893 წ. რეესტრით № 70 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3335 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 707 მილიციონერი ნესტორ ფილიპეს ძე მიქელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფრ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3326 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი სარვანის ქ. № 1 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის აბულაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3328 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ბებუთოვის ქ. № 40 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ვართანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3329 3—1

დაიკარგა მოწმობა მიღებული ჭიათურის სახალხო გვარდიის შტაბიდან და პირადობის მოწმობა, მერევის თემის გამგეობიდან ცუცქერიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3331 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა გრიგოლ სისოს ძე ალიხანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3332 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მაკროიდა გალუსტას ასული ტერ-მინასიანცის სახელზე, მიღებული ბათომის საოლქო მილიციიდან. 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3316 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 576 ელენე ეგნატეს ასული ჟაბას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3318 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიღებული სამხედრო უფროსისაგან ალა კოშკელაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3319 3—1

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 3069 ლეონ გიორგის ძე დანელიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3321 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი პოლიციის ქუჩ. № 9 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის შტენგელს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3322 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი გედეონ გერმანის ძე რუხაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3323 3—1

დაიკარგა ორი თვით შვებულებაში გაშვების მოწმობა გიორგი ვასილის ძე ლომთაძის სახელზე, მიღებული მეათე ათასეულიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3325 3—1

ქალაქ სოხუმის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოხუმის ოლქის გადასახადთა ინსპექტორი ტარიელ კონსტანტინეს ძე კეზელის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კეზელის ქონებაზე სამოქ. კრებ მე 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3243 1—1

მიხაილოვის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად 141 მუხ. სამ საქ. წარმ. წესდ. იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ლუკა ბათუს ძე (იგივე პახუას ძე) ქქვანიის ქონებაზე, მე-1241 მუხლ. 1 ნაწ. 10 ტომ. სამოქალაქო კანონში აღნიშნულ ვადით. 3245 1—1

ქ. ტფილისის მე-8 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ აღა ფოლად იგივე პოლად გაჯი სულთან ოღლის მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება. სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3226 3—1

შორაპნის მაზრის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის თავმჯდომარე თანახმად სასამ. დაწესებ. წესდებისა. 329[1] მუხ. იწვევს იმ პირთ, რომლებსაც აქვს ფულების შესახებ რაიმე დავა ყოფილ ჩხარის სამომრიგებლო უბნის ბოქაულთან კარპეზ ლომთათიძესთან, სამსახურის დროს ჩადენილ უკანონო მოქმედებით, ექვსი თვის განმავლობაში დღიდან გაზეთებში გამოცხადებისა, რათა მათ განაცხადონ იმის შესახებ თავიანთი უფლებანი. 953 3—1

შორაპნის მაზრის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის თავმჯდომარე თანახმად სასამ. დაწესებ. წესდებისა 329[1] მუხ. იწვევს იმ პირთ, რომლებსაც აქვს ფულების შესახებ რაიმე დავა ყოფილ საჩხერის სამომრიგ. უბნის ბოქაულთან ს. თ. ლორთქიფანიძესთან, სამსახურის დროს ჩადენილ უკანონო მოქმედებით, ექვსი თვის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა, რათა მათ განაცხადონ იმის შესახებ თავიანთი უფლებები 953 1—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.